პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 13 ივნისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 130 (828) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ორშაბათს, ა.წ. 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში) მოწვეულია, ფაბრიკა-ქარხნების და ადგილკომების დასწრებით, ტფილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება სრულიად საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის შესახებ (მომხსენებლები ამხ. ამხ. ფილიპე მახარაძე და მამია ორახელაშვილი).
2. მიმდინარე საკითხები.

დასწრება საბჭოს ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

**პრეზიდიუმი.**

## ბოლო უნდა მოეღოს დისციპლინის ყოველგვარ დარღვევას.

ჩვენ ბევრს ვსწერთ დისციპლინის შესახებ. ბევრსაც ვლაპარაკობთ. ბევრი მიღწევებიც გვაქვს. მაგრამ კიდევ არის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები ჩვენს ნაწილებში. მაგალითად ავიღოთ ერთი დღევანდელი კორესპონდენციათაგანი, რომელიც მოგვითხრობს პირველ ლეგიონისსამნეო გუნდში არსებულ უდისციპლინობის შესახებ. კორესპონდენცია აღნიშნავს, რომ ზოგიერთი წითელი არმიელები იმდენათ თავაშვებული არიან, რომ არ ასრულებენ მეთაურების ბრძანებას, ილანძღებიან და სხვა.

ეს ყოვლად დაუშვებელია.

ის წითელი-არმიელი, რომელიც პირნათლად არ ასრულებს თავისი მეთაურის ბრძანებებს მტერია დისციპლინის; ხოლო ვინც დისციპლინას არღვევს, ის წითელი არმიის სიძლიერესაც ძირს უთხრის.

დისციპლინის გარეშე არმია არ არის.

წითელი არმია მხოლოდ მაშინ იქნება დაუძლეველი და ძლიერი, როცა მის რიგებში ფოლადისებური მტკიცე დისციპლინა იქნება დაცული. დისციპლინა კი მოითხოვს მეთაურის ბრძანებების და განკარგულებების ხმა ამოუღებლივ, სწრაფად შესრულებას.

წითელი არმიელი და მეთაური ორივე ერთი მუშურგლეხური ოჯახიდან არიან გამოსული. განსხვავება მათ შორის მხოლოდ მასშია, რომ მეთაური—უფროსი ამხანაგია წითელი არმიელის, მისი მასწავლებელი და ხელმძღვანელი. მეთაური უფრო გამოცდილი და მცოდნე მებრძოლია.

ამიტომაც ყველა მისი განკარგულებები და ბრძანებები შესრულებულ უნდა იქნას ყოველ მიზეზ გარეშე და გულმოდგინეთ.

ბევრი ვწერეთ აგრეთვე ჩვენ გინების მოსპობის შესახებ ჩვენს რიგებში; როგორც სჩანს არც ეს აღმოფხვრილა დღემდი. დროა ძველი მონური ცხოვრების ამ სამარცხვინო ნაშთსაც ბოლო მოეღოს წითელ ჯარში. ამას თვით წითელი არმიელები უნდა შეებრძოლონ მთელი თავისი ენერგიით და შეგნებით.

დისციპლინა წითელ არმიაში დღითი დღე ძლიერდება და მტკიცდება. ჩვენი ამოცანაა უფრო მეტად გავაძლიეროთ ის. ამიტომ საჭიროა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს უდისციპლინობის ყოველგვარ დიდ თუ წვრილმან შემთხვევებს.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ მას, რომ ჩვენ წითელ ჯარში ადგილი აღარ ექნეს არც ერთ დისციპლინის დარღვევის, შემთხვევას უმნიშვნელოსაც კი.

ამხ. წითელ-არმიელებო! ჯერი თქვენზეა!

მტკიცედ შეასრულეთ მეთაურების ბრძანებები!

მოსპეთ უდისციპლინობა!

განამტკიცეთ დისციპლინა!

## რიგი ინდოეთზეა.

ინგლისის დამოუკიდებელმა პარტიამ მოაწყო დემონსტრაცია შემდეგი ლოზუნგით: „ხელები შორს ჩინეთი საგან. დემონსტრაციაზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ინგლისის ჯარების გაყვანას ჩინეთიდან და ჩინეთის თვითგამორკვევის უფლების სავსებით ცნობას.

სიტყვა წარმოსთქვა პერსელმა, რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ ჩინეთის მაგალითს მალე მიჰბაძავს ინდოეთი და ორივე მხარე შეერთებულის ძალით გადაიძრობს ბრიტანეთის უღელს.

ამ რეზოლიუციას მიემხრო სამხრეთ უელსის მუშები.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის ამბები.

### ჩინეთის სახალხო მღელვარება იზრდება.

### რევოლიუციონერები მოუწოდებენ ერთიანი ფრონტისაკენ.

**ჩინეთის გათავისუფლების დროშა სისხლით იწერება.**

კრებებზე გამოაქვთ დადგენილება არაფერი მიჰყიდონ ინგლისელებსა და იაპონელებს.

**ერთიანი ფრონტით.**

ჩინეთში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც აღმართულ იქნა 5 ტრიბუნა. ორატორები მოუწოდებდენ ერთიანი ფრონტისაკენ ინგლისისა და იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

**„აღსდექით და სიცოცხლე შესწირეთ ჩინეთის გათავისუფლებას“.**

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შემდეგმა შემთხვევამ სიტყვის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა შენ გ-ჩან-ფუმ მოჭრა თითი და დასწერა პლაკატზე შემდეგი სტრიქონები:

**„თანამემამულენო! აღსდექით და სიცოცხლე შესწირეთ ჩინეთის გათავისუფლებას!“**

ორატორი მაშინვე წაიყვანეს წითელი ჯვრის სანატორიუმში. სისხლით დაწერილი პლაკატი აფრიალებულ იქნა მაღლა.

**რას მოითხოვდენ დემონსტრანტები.**

მიტინგის დროს ასტყდა საშინელი წვიმა და სეტყვა. მიუხედავათ საშინელი ამინდისა დემონსტრაანტები გაემართენ მთავრობის თავმჯდომარ ისაკენ რეზოლიუციის წარსადგენად.

რეზოლიუციაში შედიოდა შემდეგი მოთხოვნილებები: უარყოფილ იქნას ინგლისელებზე სურსათ-სანოვაგის მიყიდვა; შეწყვეტილ იქნას საქონლის გატანა ინგლისში და იაპონიაში გამოეცხადოს ბოიკოტი უცხოელ გაზეთებს; გავიდეს ჩინეთის მოსახლეობა უცხოელთა კვარტალიდან და მრავალი სხვა. კრებამ დაადგინა გაეგზავნოს მილიონი დოლარი შანხაის გაფიცულებს.

მიტინგის დროს შეტაკებები არ მომხდარა.

## თვითმკვლელობა პროტესტის ნიშნად.

**„გაუმარჯოს ჩინეთს! ძირს იმპერიალიზმი!“**

ერთი მოხუცი ჩინელი შანხაიში ხიდიდან გადავარდა და თავი დაიხრჩო. გადავარდნის დროს მან დაიძახა:

**„გაუმარჯოს ჩინეთს! ძირს იმპერიალისტები!“**

მან დასტოვა ანდერძი, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენ გვჩაგრავენ. ძნელია ასეთი შეურაცხყოფილი ცხოვრების ატანა და რადგან მოხუცებულობის გამო არ შემიძლია შური ვიძიო იმპერიალისტებზე, პროტესტის ნიშნად თვით მკვლელობით ვასრულებ ჩემს სიცოცხლეს“.

## საბჭოთა მუშები ეხმარებიან ჩინელ ძმებს.

საბჭოთა პროფკავშირებმა გაუგზავნეს ჩინეთის გაფიცულ მუშებისა და მოკლულთა ოჯახებს 50.000 მანეთი.

პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირთა ყველა ცენტრალურ კომიტეტებს იხმარონ ყოველი ღონისძიება და დააგროვონ შემოწირულება ჩინეთის მუშების სასარგებლოდ.

## ომი მაროკოში.

**რიფებმა გააძლიერეს შეტევა.**

ესპანეთის ოფიციალურ ცნობების თანახმად ესპანეთის მაროკოს ზონაში რიფების შემოტევა გაძლიერდა.

## საპროტესტო მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ.

მოქმედების კომიტეტმა გამართა პარიზში საპროტესტო მიტინგი მაროკოს ომის წინააღმდეგ.

მიტინგზე გამოსული ორატორები სასტიკად გმობდენ მტაცებლების ბრძოლას მაროკოს წინააღმდეგ.

## მოსკოვ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიცია სარაპულში.

მოსკოვ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიციას მივიდა სარაპულში. თვით-მფრინავებმა გაიარეს 310 კილომეტრი ორი საათის განმავლობაში. თვით მფრინავები წესრიგზეა. მფრინავები მხნე განწყობილებაზე არიან.

## „საერთაშორისო სოლიდარობის ზრდა.“

**„პრავდას“ წერილი.**

„ჩინეთის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი ხდება. საყურადღებო ის არის, რომ ჩინეთის ამბები გამოძახილს პოულობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ფართე მასებშიც.

მუშათა დაჟინებით ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიამ ჩაატარა საპროტესტო დემონსტრაცია ინგლისის ძალადობის წინააღმდეგ.

უფრო საყურადღეოა პერსელის გამოსვლა, რომელიც ესალმება ჩინეთის აჯანყებას და მოუწოდებს ინდოეთს ამავე გზისაკენ.

ჩვენი მუშათა კლასი შეეჩვია საერთაშორისო მშრომელთა ნამდვილ სოლიდარობის დაფასებას.

ის შეეჩვია დაფასებას საკუთარი რევოლიუციის გამოცდილებით. მან დაინახა მისი აუცილებლობა. მან გამოსცადა თუ როგორ უშვებდა მას ყელში ჩაჭერილ თითებს საერთაშორისო ბურჟუაზია, როცა თავდამსხმელ სახელმწიფოების მუშათა კლასი ხმას იმაღლებდა „თავისი“ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ჩინეთის ხალხიც ასეთ დახმარებას მოელის.

საერთაშორისო პროლეტარიატიც ვალდებულია დაეხმაროს მას. აქ პირველი სიტყვა ინგლისისაა, რომლის მტაცებელი იმპერიალიზმი კბილებით ჩასჭიდებია ჩინეთის ხალხს ყელში. ინგლისის პროლეტარიატმა უკვე დაიწყო გამოსვლები. ის მხარს დაუჭერს თავის შორეულ ძმებს, როგორც ის ეხმარებოდა საბჭოთა ქვეყნების მშრომელებს.“



ულიანდაგო „რკინისგზა“,
რომელიც გამოგონებულ იქნა ამ ბოლო ხანებში ამერიკაში. სურათზე გამოხატულია მატარებელი, რომელიც მიმოდის შარა გზაზე ნიუ-იორკსა და ლოს-ანგელოსს შორის.

## რუმინეთის ლიბერალებს ნავთის სუნი უდისთ.

ამ დღეებში გლეხთა პარტიის დეპუტატმა მაჯეარუმ შეკითხვა შეიტანა რუმინეთის პარლამენტში ლიბერალების ფინანსიურ მოღვაწეობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია რუმინეთის ნავთის წყაროების ნაციონალიზაციასთან.

მაჯეარუმ დაამტკიცა, რომ „სტეანა რომენას" საზოგადოებისთვის არ გაუკეთებიათ ნაციონალიზაცია; ეს დაწესებულება გადაეცა ფინანსიურ ჯგუფს, რომელშიაც შედის ლიბერალების ბანკები და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალი.

მაჯეარუს მიერ ასეთმა გამოაშკარავებამ დიდი მღელვარება გამოიწვია მთავრობის პარტიის რიგებში.

## ბელგია აპირობს...

ბრიუსელში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ივლისის პირველ რიცხვებში ბელგიის სოციალისტური პარტიის დელეგაცია გაემგზავრება ლონდონში. დელეგაციის გამგზავრების მიზანია გაარჩიოს რაკოვსკისთან ერთად საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან ბელგიის მიერ საბჭოთა კავშირის შესაძლებელ ცნობასთან.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

## სიმინდის სათეს მოედანის გაფართოება.

მიმდინარე წელს სიმინდის სათესი მოედანი საგრძნობლად გაიზარდა. სიმინდი შეიძლება გამოყენებულ იქნას წარმოებაში როგორც ნედლი მასალა, საზღვარ-გარედ გასატანად და სხვა.

## ინგლისელ ქალთა დელეგაცია გროზნოში.

გროზნოში ჩავიდა ინგლისელ ქალთა დელეგაცია. მატარებლიდან გადმოსვლისას მარი კვეილი მიესალმა გროზნოს მუშებს რუსულ ენაზე: „გაუმარჯოს მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობას!"

გაიხსნა მიტინგი. დელეგაციას მიესალმა გროზნოს მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები.

## იტალიის კრეისერები ლენინგრადში.

ცნობების თანახმად 25 ივნისს ლენინგრადს ინახულებს იტალიის სამი ნაღმოსანი კრეისერი. ესენი მოვლენ კოპენჰაგენიდან და დარჩებიან ლენინგრადში სამი დღე.

## მშრომელთა მოსახლეობაში სამხედრო ცოდნის გავრცელება.

ჩვენი წითელი არმია მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით რიცხვით ბურჟუაზიულ ქვეყნების არმიებზე გაცილებით ნაკლებია.

ჩვენი მუდმივი არმია, რომელსაც ჰყავს თავის რიგებში 600.000 კაცი, წარმოადგენს კადრს, რომელმაც ომის შემთხვევაში უნდა შეიყვანოს თავის რიგებში ჩვენი კავშირის მშრომელთა მილიონები.

ეს ამოცანა ადვილი არაა და პირველ რიგში ის აყენებს მთელი მშრომელი მოსახლეობის სამხედრო მომზადების საკითხს. თუ რომ ომში გაწვეულ მუშასა და გლეხს სამხედრო საქმე არ ეცოდინება ისინი საბჭოთა ხელისუფლების ცუდი დამცველები იქნებიან.

სრულიად საკავშირო საბჭოთა მე-3 ყრილობის დადგენილება მოსახლეობაში სამხედრო ცოდნის გავრცელების შესახებ ვალდებულს ხდის ყველა საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს უფრო სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს, ვინემ დღემდის.

ამიერ-კავკასიაში მოსახლეობაში სამხედრო ცოდნის გავრცელების საკითხი ჯერ ხელუხლებელია, ამიტომ პირველ ხანებში ეს მუშაობა მეტად ნელი ნაბიჯით წავა. მუშაობის სიძნელემ და ზოგიერთ დაბრკოლებებმა არ უნდა შეგვაშინოს; საჭიროა ყველამ, როგორც ერთმა დავჭიმოთ მთელი ძალები, რომ მოკლე დროში შევუდგეთ ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის სამხედრო საქმის წესიერად სწავლებას.

ქ. ტფილისში პასუხისმგებელ ამხანაგების ერთი ჯგუფის თაოსნობით დაარსებულ იქნა სამსროლელო საზოგადოების დროებითი ბიურო, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქ ტფილისის მუშათა შორის სროლის საქმის სწავლებას და კერძოდ მთელ რიგ საბრძოლო სროლის ჩატარებას.

ამ მიზნისთვის განზრახულია სამხედრო ნაწილების სასროლ მოედნების გამოყენება და ქალაქში ტირების (შენობა, რომელშიაც სწავლობენ სროლას) აგება მცირე ყალიბიან თოფებიდან სროლის სასწავლად.

მსროლელთა პირველი წრის შედგენა განზრახულია წითელარმიელთა კლუბთან. გამოყოფილია ამხანაგების ერთი ჯგუფი მეცადინეობის გეგმისა და პროგრამის შესადგენად და სწარმოებს სროლის საქმის ინსტრუქტორების შერჩევა.

საფუძველი ჩაყრილია. ეხლა საქმე ტირების, სანიშნოების და სხვათა ასაშენებელ საშუალებათა ჩქარა გამოძებნაშია; ამასთან საჭიროა კამპანიის ჩატარება მუშათა მისაზიდავად სამსროლელო საზოგადოებაში, რომელიც წარმოადგენს მუშაობის დასაწყისს ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის სამხედრო ცოდნის გავრცელების საქმეში.

ი. ბარ.

## უკრაინის მოვარჯიშეთა მიწვევა ჩეხო-სლოვაკიაში.

ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ბარათი გააგზავნოს უკრაინის მოვარჯიშე გუნდი ჩეხო-სლოვაკიაში საsპორტო შეჯიბრზე.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ.

### შეჯიბრი სროლაში.

არმიის სროლის საქმის კომიტეტმა ივნისის შუა რიცხვებისთვის განიზრახა სასროლო შეჯიბრის ჩატარება 1-ლ ქართულ და კავკასიის მე-9 მსროლელ ლეგიონებს შორის. სასროლო შეჯიბრის მიზანია ნათელყოს ზამთრის პერიოდის სასროლო მომზადების მიღწევები.

სროლის შეჯიბრის პრაქტიკულად ჩატარება გამოიხატება შემდეგში: თვითეულ ლეგიონიდან გაყვანილ იქნება სასროლად თითო ოცეული; შეჯიბრის დაწყებამდი ლეგიონის შემადგენლობაში არავის არ ეცოდინება, თუ რომელი ოცეული მიიღებს მონაწილეობას შეჯიბრში.

შეჯიბრის პირობები შემდეგია:

მსროლელთა ათეული გაივლის მე-4 ვარჯიშს დაწყებითი სროლიდან (საერთაშორისო სანიშნო—რადიუსი 25 სანტიმეტრი.) თვითეულ მეომარზე—თითო სანიშნო. მსროლელი მოეწყობა, როგორც სურს, მაგრამ თოფის დასაყრდნობი არ ექნება; ეძლევა ხუთი ცალი ვაზნა; მანძილი სანიშნომდი—200 ნაბიჯი; დრო განუსაზღვრელია.

ამ პირობებს დააკმაყოფილებს ის ათეული, რომელიც მეტ სათვალეებს გახვრეტს სანიშნოში, ხოლო თუ სათვალეები თანაბარ რაოდენობის იქნება, იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს ის ათეული, რომელიც მეტ რაოდენობას მოახვედრებს.

ხელით სასროლ ტყვიამფრქვევის ათეულისთვისაც გათვალისწინებულია დაწყებითი სროლის მე-4 ვარჯიში: ორი 100—125 სანტიმეტრიანი ფიცარი; თვითეულ ფიცარზე გაკრულია თავის გამოხატულება. თვითეულ ტყვიამფრქვევს ეძლევა 10 ცალი ვაზნა; ყოველი რიგის შემდეგ ცეცხლი გადატანილ იქნება ერთი გამოხატულებიდან (ფიგურიდან) მეორეზე.

დრო განუსაზღვრელია.

პირობას შეასრულებს ხელით სასროლ ტყვიამფრქვევის ის განყოფილება, რომელიც მოარტყამს სამივე ფიგურას ფიცარზე. თუ ორივე ათეულმა მოარტყა, მაშინ გაიმარჯვებს ის ათეული, რომელიც მეტ ტყვიას მოარტყამს ფიგურაში; აქ ყურადღება მიექცევა ცეცხლის თანაბარ განაწილებას ფიგურებზე.

დაზგის ტყვიამფრქვევის განყოფილებები გადიან მე-4 ვარჯიშს დაწყებითი სროლიდან. სამი სამოსწავლო სანიშნო ფიცარის სხვა და სხვა ადგილზე; სროლა გაფანტვით და ცეცხლის გადატანით; 30 ცალი ვაზნა თვითეულ ტყვიამფრქვევს (ვაზნები ჩაიდება ზოლის მეათემეათე თვალში). სროლა იწარმოებს რიგ-რიგობით ათი ვაზნით (თითო რიგი—თითო სანიშნო); თვითეულ რიგის შემდეგ ცეცხლი გადატანილ იქნება მეორე სანიშნოზე.

თუ ათეულმა შემუსრა თვითეულ სანიშნოზე სამ-სამი კვადრატი, პირობა შესრულებულად ჩაითვლება. თუ შემუსვრა ერთნაირია, პირველობა ენიჭება იმ ათეულს, რომელმაც შემუსრა კვადრატების მეტი რაოდენობა. ამასთან ყურადღება ექცევა ცეცხლის თანაბარ განაწილებას.

საჭიროა სროლის ასეთი შეჯიბრი ჩატარებულ იქნას სხვა გარნიზონებშიც (ბანაკებში); ამისათვის ნაწილის სროლის საქმის კომიტეტებმა უნდა გამოიმუშაონ წესიერი სასროლო ვარჯიში აქ მოყვანილ პირობების საფუძველზე და შედეგები გაუზიარონ ერთმანეთს პრესის საშუალებით.

ი. ბარ.

## ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

### VI. ათასეულისა და ოცეულის საბრძოლო მომზადება.

ათასეულის სწავლების დროს (1-ლ ცეცხლის ზღვარზე მეცადინეობა) საჭიროა ყურადღება მიექცეს თოფების გატენას სამოსწავლო ვაზნებით (უვაზნებოდ არ უნდა იქნას დაშვებული სროლა) და მარჯვე დამიზნებას. იმავე დროს მეომრები უნდა ავარჯიშოთ თვალით მანძილის გაზომვაში, ბრძოლის ველზე თვალყურის დევნებაში, რაიც გამოიხატება მტრისადმი განუწყვეტელ თვალთვალში. ათეულის უფროსმა დროგამოშვებით უნდა გასინჯოს მსროლელი, თუ რას ხედავს ის წინ და გვერდებზე და რას აკეთებს მტერი.

შემდეგი მომენტი ათეულის სწავლებისა შეტევითი ბრძოლაში—ეს არის **ათეულის გადასვლა ცეცხლის ერთი ზღვარიდან მეორეზე.**

აქ საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი: ათეული რომ გადავიყვანოთ შემდეგ ცეცხლის ზღვარზე, ამისათვის საჭიროა არჩეულ (დანიშნულ) იქნას ეს ზღვარი და არავითარ შემთხვევაში არა უახლოეს 200 ნაბიჯის მანძილისა დაკავებულ ზღვარიდან.

ეს იმიტომ, რომ ზღვარის გამოცვლა 200 ნაბიჯზე ახლო ტყვილაუბრალოდ გამოიწვევს დანაკლისს და არავითარ სარგებლობას არ მოიტანს. ეს კარგად უნდა იცოდენ მეომრებმა. გადარბენის დროს დასვენებისას სროლა არ არის საჭირო; საჭიროა მხოლოდ კარგად შეინიღბონ, მოეფარონ მტერს, ცოტა შეისვენონ და შემდეგ კვლავ იწყონ გადარბენა.

მთელი, საველე მეცადინეობათა განმავლობაში შემოღებულ უნდა იქნას ათეულის, ოცეულის უფროსის და აგრეთვე ტყვიამფრქვევის უფროსებისა და მსროლელთა გამოთიშვა მწყობრიდან. ეს თვალსაჩინო მაგალითს მისცემს მეომრებს იმაში, რომ ნამდვილ საბრძოლო გარემოებაში შეხვდებათ ისეთი შემთხვევა, როცა მათ მოუხდებათ მეთაურის შეცვლა.

შემდეგი არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი ათეულის სწავლებისა გადარბენაში—ეს არის ადგილზე შეგუება, შენიღბვა და ხანდაკობა.

აქ პირველ „პირობად საჭიროა ის, რომ მეთაურთა შემადგენლობა „არ დასეირნობდეს" მტრის დასანახავად, არამედ თავისი, ადგილთან შეგუების გამოცდილებით მაგალითი მისცეს მეომრებს—მათაც შეეგუონ ადგილს და შეინიღბონ როგორც წესი და რიგია. ა[...] უნდა დაგეზაროს და უკანვე უნდა გააბრუნოს ის მსროლელი ან მეტყვიამფრქვევე, რომელმაც ვერ გამოიყენა ადგილზე შეგუების წესი და ვე[...] შეინიღბა კარგად და ხელახლად უნდა დააწყებინოს გადარბენა. სამაგიეროდ, როგორც აშკარა მანძილზე უნდა მი[...] თითო ყველა მეომრებს, იმ მსროლელზე, რომელიც კარგად შეეგუა ადგილმდებარეობას და შეინიღბა.

პ.

## ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲓᲠᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲐ.

ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებადი შემადგენლობის რაოდენობა განიცდის რიცხობრივ ცვალებადობას. ეს რიცხობრივი ცვალებადობა გამოწვეულია მოსახლეობის მუდმივ მოძრაობით. ქალაქებში მოსახლეობა იცვლება უფრო სწრაფათ ვიდრე სოფლებში, რადგან ქალაქის მცხოვრებნი ნაკლებ არიან დაკავშირებულნი ამა თუ იმ ტერიტორიასთან. სამოქალაქო ომების დროს, მაგალითად, რუსეთში, ჩვენ ვამჩნევდით ქალაქებში მოსახლეობის საგრძნობ შემცირებას. ქარხნის მუშები ცუდ ეკონომიურ პირობების გამო მიეშურებოდნენ სოფლად სურსათ-სანოვაგის გამოსანახავათ, რაც ქმნიდა მრეწველობაში არა ნორმალურ მდგომარეობას. 1921 წლიდან კი ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი თანდათანობით იზრდება, სოფლებიდან მუშები უბრუნდებიან ფაბრიკა-ქარხნებს. ეხლა, ნორმალურ პირობებში, ასეთი საგრძნობი ნახტომები არ ხდება, მაგრამ მაინც მოსახლეობის ერთი ნაწილი, ცხოვრების სხვა და სხვა პირობების გამო ხშირად იცვლის საცხოვრებელ ადგილს.

მოსახლეობის ასეთ მოძრაობას, ბუნებრივად, აქვს გავლენა ტერ-ნაწილების შეუვსებლობაზე, რაიც მოითხოვს თავის დროზე საწინააღმდეგო ზომების მიღებას. შესაძლებელია, რომ ნაწილებში, რომლებიც ივსებიან მხოლოდ ქალაქის მცხოვრებლებით, მაგალითად მეექვსე ლეგიონი და ნაწილობრივ მეხუთე, ამ შეუვსებლობამ ერთ სამოსწავლო შეკრებიდან მეორემდე მიაღწიოს საგრძნობ რაოდენობას. განზრახვაა 10 პროცენტიანი დამატება საშტატო რიცხვზე გახდეს იმ წყაროთ, რომელიც დაფარავს ნაწილების შტატის დანაკლისს; ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ 10 პროცენტიან დამატებას უფრო მნიშვნელოვანი, დანიშნულება აქვს. ჩვენ ვიცით, რომ მობილიზაციის დროს მუდამ არიან ჩამორჩენილები, შევსების ფარგლებიდან (Район комплектования) დროებით გასულნი, ავადმყოფები და სხვა ასეთები. თქმა არ უნდა, რომ მათ მოცდისათვის მობილიზაციის დროს არავის ეცლება. აი სწორედ იმ 10 პროცენტის დამატების სამხედრო ვალდებულნი, ვფიქრობთ, რომ უნდა ჩადგნენ იმათ ადგილებზე, ვინც რაიმე მიზეზით არ გამოცხადდებიან მობილიზაციის დროს ვადაზე. აქედან ცხადია, რომ პროცენტული დამატების, ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს დახარჯვა, არ შეიძლება. ნაწილი უნდა იყოს მუდამ შტატის მიხედვით სავსე 10 პროცენტის დამატებით.

ჩვენ ჯერ ხელთ არა გვაქვს შეუვსებლობაზე ნამდვილი მასალები იმიტომ, რომ ჯერ შეკრება არ ჩაგვიტარებია, მაგრამ ზოგიერთ კერძო ცნობების მიხედვით, ცვალებადთა მიერ საცხოვრებელ ადგილის გამოცვლის გამო, დანაკლისი არის და გვექნება კიდეც. ეჭვს გარეშეა ეს დანაკლისი 5 წლის განმავლობაში გაიზრდება და გადააჭარბებს 10 პროც.-ს. დავუშვათ, რომ 10 პრო.-ნი დამატება საკმარისია ნაწილში მიმდინარე დანაკლისის დასაფარავად. მაშინ ნაწილის შტატის სათანადო დონეზე შესანახად მაინც საჭიროა ერთგვარი მარტივი ზომები. ამისათვის საკმაო, ნაწილის უფროსმა ყოველთვიურათ აცნობოს სათანადო სამხედრო მაგიდის გამგეს შეუვსებლობაზე, წლოვანების და კატეგორიების მიხედვით. მაგიდის გამგეები კი მიიღებენ რა მხედველობაში შეუვსებლობაზე ცნობებს, გადაარჩევენ თანდათანობითი მათ განკარგულებაში სხვა და სხვა კუთხეებიდან (საქართველოს საზღვრებს გარედან) მოსულ ცვალებადებს და გადაგზავნიან მოთხოვნილებისამებრ ერთეულებში ცვალებად შემადგენლობის შტაბში, ან 10-პროც.-იან დამატებაში ჩასარიცხავად. ასეთი საშუალება სრულებით საკმარისია ნორმალურ პირობებში და არ საჭიროებს დანაკლისის შევსებისათვის ვადამდე დამატებით გაწვევას, ან შევსების ფარგლების გაფართოებას, რასაც ადგილი აქვს რუსეთის ზოგიერთ ტერდივიზიებში. ჩვენ მიერ ნაჩვენებ ზომას აქვს მეორე დადებითი მხარეც: სხვა და სხვა კუთხებიდან საქართველოში ჩამოსული ცვალებადები განაგრძობენ ადგილობრივად სამხედრო სწავლას, დაწყებულს სხვა ტერნაწილებში პირველ მიწერის დროს.

ერ.

# ᲩᲕᲔᲜᲡ ᲢᲔᲠ-ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲨᲘ.

## ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ.

**მე-5-ე ლეგ. მე-2-ე ათასეული.**

ათასეულის წითელ-არმიელთა და უნცროს მეთაურთა ...ელი შემადგენლობა მეტად ენერგიული, შრომის მოყვარე ...ა მუყაითი მეთაურის ხელმძღვანელობის ქვეშ ვიმყოფებით. ...რდა სავალდებულო სამსახურისა ის სხვა რამესაც გვასწავ...ის. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ამხანაგი წი...ელ-არმიელების განათლება-განვითარებას.

მან თითქმის ყველა არმიელები ჩაგვაბა წრეში. გვიკით...ვს გაზეთებს, გვაძლევს ამოცანებს, გვასწავლის ანგარიშს, ...აწერიებს ჩვენს ავტობიოგრაფიებს და სცდილობს რაც შე...ძლება მეტი პოლიტიკური ცოდნა შეგვძინოს. თითეული მი...ა ახსნა განმარტება ძლიერ ადვილი გასაგებია ჩვენთვის, რაც ...ეტად გვაინტერესებს და მონდომებული ვართ რაც შეიძლე...ა მეტი შევიძინოთ.

ჩვენი გულწრფელი მადლობა დაუზარებელ მეთაურს ...ა ვისურვებთ მომავალშიდაც ასეთი შეუნელებელი ხალისით ...აგრძელებიოს არმიელების განვითარების საქმე.

წ. არ, აბოიანცი.

## ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲡ ᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲐᲓ-ᲒᲔᲜᲓᲔᲗ?

**სამნეო ნაწილის უფროსის საყურადღებოთ.**

კარგა ხანია რაც მეხუთე ლეგიონის შემადგენლობამ მიი...ო საზაფხულო ტანისამოსი გარდა ჩაფხუტების, ტოლაღე...სა და ქამრებისა. ქალაქში მდგომ სხვა ნაწილებმა ტანსაც...ლის მთელი კომპლექტი მიიღეს, მხოლოდ ჩვენ არ ვიცით ...ატომ გამონაკლისს შევადგენთ.

დღემდე ამ საშინელ სიცხეებში საზამთრო ჩაფხუტებით ...ავიარებით. რად არ გვეძლევა ტანსაცმელის მთელი კომპ...ექტი ისე, როგორც სხვა ნაწილებს?

იმედია სამნეო ნაწილის უფროსი მიიღებს სათანადო ...ომებს ჩვენი დანაკლისის ასანაზღაურებლად.

სამხკორი რუსპირელი.

## ᲐᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲫᲘᲜᲐᲕᲡ!

7 ივნისს შესდგა ნატანების ...აიონის ცვალებად შემადგენ...ობის წითელ არმიელთა სა...ერთო კრება ამხ. პ. ბოლქვა...ის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგში იდგა: 1. ...ოხსენება ტერ-აღმშენებლო...აზე და 2. კორესპონდენტის ...რჩევა.

პირველ საკითხზე მოხსენება ...აკეთეს აიხ. ბაქანიძემ და ...ტაკიძემ, რომლებმაც დამსწრე...თა გასაგები ენით განმარტეს ...ტერ-ნაწილების მოწყობის მნი...შვნელობა და სხ.

მოხსენების გარშემო მიღე...ულ იქნა შემდეგი რეზოლი...უცია: მოვისმინეთ რა მოხსე...ნება ამხ. ბაქანიძის და ტაკიძის ...ტერ-აღმშენებლობის შესახებ, ...ჩვენ ნატანების რაიონის ცვა...ლებადელები ღრმად ვართ და...რწმუნებული, იმაში, რომ საბ...ჭოთა ხელისუფლების წითელ ...დროშას ესაპიროება გმირული ...დამცველი —წითელი არმია, სანამ ჯერ კიდევ მთელ მსოფლიოში არ მომხდარა მუშებისა და გლეხების განმათავისუფლებელი რევოლიუცია. ჩვენ მუდამ მზად ვიქნებით შევისწავლოთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა ჯარის ნაწილებში და ამასთანავე ერთად მზად ვიქნებით პირველ დაძახებისთანავე ჩავდგეთ წითელი არმიის რიგებში და დავიცვათ ოქტომბრის მონაპოვარი.

გაუმარჯოს წითელ არმიას და მის ცვალებად შემადგენლობას“.

კორესპონდენტთა მნიშვნელობაზე მოხსენების გაკეთების შემდეგ, კორესპონდენტად არჩეულ იქნა ამხ. გრიგოლ ბაქანიძე, რომელსაც დაევალა გაზეთში კორესპონდენციების წერა ნატანების რაიონის ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრებაზე.

ცვალებადელი გ. ბ.—ძე.

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

## ᲙᲐᲠᲗ. ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ.

ჩვენი სკოლის პირველი კომუჯრედის მუშაობა აქნობამდე ძალზე შეფერხებული იყო, რადგა ბანაკის მოწყობამ მიიპყრო მთელი ჩვენი ყურადღება და დიდი დრო წაგვართვა მისმა მოწყობამ.

ბანაკის მოწყობის დამთავრების შემდეგ, სკოლის სხვა უჯრედებთან ერთად ჩვენმა უჯრედმაც მოჰკიდა ხელი მუშაობას, მოიწვია კრებები სისტემატიურად და გაარჩია დაწვრილებით სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო კითხვები.

დღემდე უჯრედში უკვე ჩატარდა მოხსენებები ს. ს. რ. კავშირის მესამე ყრილობის შედეგებზე. ამასთანავე ერთად განხილულ იქნა პარტიაში შემომსვლელ ამხანაგების ანკეტები და სხვა.

# ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

მესამე ლეგიონის ცხენოსან მზვერავი გუნდი უკვე გავიდა საბანაკოთ. გუნდი მშვენივრად არის მოწყობილი. ლამაზათაა მორთული კარვები, რომლებიც საუცხოვო სანახავს წარმოადგენს. ბანაკში უკვე მოწყობილია ლენინის კუთხეები; სხვა და სხვა საჭირო ლიტერატურით. წითელ არმიელები დიდის ინტერესით მეცადინეობენ ლენინის კუთხეებში.

გუნდში სამხედრო და პოლიტ მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად.

იმედი გვაქვს ჩვენი გუნდის უფროსები კიდევ უფრო მეტ ენერგიას გამოიჩენენ მუშაობაში და ამით წინ წასწევენ ჩვენს ნაწილს.

წ. არმიელი ინაშვილი.

## ᲡᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ.

**პირველი მესანგრეთა ასეული.**

ივნისის პირველი რიცხვებიდან ჩვენმა ნაწილმა დაიწყო სროლის სწავლება. ყოველ დღიურად დავდივართ სავარჯიშოთ. არმიელები დიდი ინტერესით და ხალისით ეკიდებიან სწავლას და მეცადინეობის შედეგები თანდათან დამაკმაყოფილებელი ხდება. მიუხედავად ამისა მაინც არიან ასეულში ზოგიერთი არმიელები, რომლებსაც ეძნელებათ ზუსტი სროლის შეთვისება. ამათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს მეთაურების მიერ. მეტი დაკვირვებით და სიფრთხილით უნდა ხელმძღვანელობდენ ამ სუსტი არმიელების სროლაში გაწვრთნას.

წ. არმ. დაროშვილი.

## ᲣᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲝ ᲖᲔᲛᲓᲔᲒᲘ.

(მე-3-მე ლეგიონი)

ჩვენი ლეგიონის სამნეო ნაწილში არის ერთი ძველი წითელ არმიელი, გვარად კაზაკოვი, რომელიც დანიშნულია ზემდეგის თანამდებობაზე. მაგრამ ამხ. კაზაკოვი თავისი მოქმედებით ხშირად სცემს წითელი არმიელის და თავისი თანამდებობის სახელს. იყო ასეთი შემთხვევა: ერთ დღეს ჩვენ ნაწილთან ერთმა გლეხმა ამოატარა გუდით ღვინო, გამოეკიდა კაზაკოვი მას, მოკიდა ხელი და „მიიპატიჟა“ თავის კარვებში.

ასეთი მოქმედება პირდაპირ დაუშვებელია, მით უმეტეს ზემდეგის მხრივ, რომელიც მაგალითი უნდა იყოს ყველა წითელი არმიელებისათვის.

ამხ. კაზაკოვო, დროა გახდეთ დისციპლინიანი მებრძოლი!

შორს მჭვრეტელი.

## ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲐᲥᲐᲪ ᲒᲕᲔᲡᲐᲭᲘ-ᲠᲝᲔᲑᲐ!

პირველი საარტილერიო ლეგიონის საბანაკოთ გასვლის შემდეგ, მუდმივ ბინაზე დატოვებული ვართ ნაწილი წითელ-არმიელებისა. ჩვენ მოგვათავსეს ყაზარმის მეორე განყოფილებაში. ამ განყოფილებაში არ იყო ლენინის კუთხე მოწყობილი, ლეგიონის ბანაკათ წასვლის შემდეგ ყაზარმებში დაიშალა ლენინის კუთხეები.

ყაზარმაშიდ არჩენილმა წითელ-არმიელებმა მოვაწყვეთ კარგათ ლენინის კუთხე პლაკატებით და სურათებით, მხოლოთ შიდ წიგნები კი არ მოგვეპოვება.

ჩვენი ნაწილის ბიბლიოთეკა გადატანილ იქნა ბანაკში, მისი ნაწილი კი დატოვებულ იქნა ძველ ყაზარმებში, სამკითხველოს გამგის თანაშემწით. მაგრამ უკანასკნელი არასოდეს არ აღებს სამკითხველოს და ჩვენ სრულიად ველარ ვკითხულობთ წიგნებს.

საჭიროა ამ მოვლენას მიაქციოს ყურადღება ჩვენი ნაწილის ბიბგამგემ და მოგვცეს ლენინის კუთხისათვის საჭირო ლიტერატურა.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვეცით საშუალება ვისარგებლოთ ჩვენთან მყოფი ბიბლიოთეკით.

წ. არმიელი გოლოშვილი.

---

ჩვენმა 1-ლმა უჯრედმა დაიკავა მჭიდრო კავშირი სკოლის სხვა უჯრედებთან №—რაიონის კულტურულად ჩამორჩენილ სოფლებზე შეფობის ასაღებათ.

ამასთანავე ერთად ჩვენ კომუჯრედს აქვს კავშირი ადგილობრივ სამოქალაქო უჯრედებთან, როგორც წერილობითი, ისე ცოცხალი.

ვუსურვებ კომუჯრედის ხელმძღვანელებს უფრო ენერგიულ მუშაობას.

პარტკორი ი. ნაფეტვარიძე.

## ᲐᲮᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

(პირველი ლეგიონის სკოლა.)

ჩვენი ნაწილის სკოლაში 6 ივნისს მოწვეულ იქნა ა. ლ. კ. კ. მორიგი კრება, რომლის დღის წესრიგში იდგა მხოლოთ ერთი საკითხი: კომკავშირის მუშაობა წითელ არმიაში. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ან. მახარაძემ, რომელმაც აღნიშნა გატარებული მუშაობის უარყოფითი და დადებითი მხარეები და სხვა.

აქნობამდე კომკავშირის წევრები გათქვეფილი იყვნენ პარტიის წევრებში.

კომკავშირის მუშაობას არ ქონდა თავისი სახე და საკუთარი უჯრედი. ეხლა უკვე ჩამოყალიბებულია უჯრედი და მომავალში მუშაობას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ სკოლის პარტ-უჯრედმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ახკომკავშირის მუშაობას და გაუწიოს სწორი და სისტემატიური ხელმძღვანელობა მას.

მიმდინარე საკითხებში კრებამ გაზეთ „სპარტაკის“ გამოწერის მოგვარება დაავალა ა. კ. კავშირის ორგანიზატორს ამხ. ზუმბაძეს.

სკოლას ყოლია მხოლოთ ერთი ახკორი. ამავე კრებაზე არჩეულ იქნა მეორეც ამხ. დუმბაძე, რომელთაც დაევალათ სკოლის ყოფა-ცხოვრების გაშუქება გაზეთის ფურცლებზე.

ახკორი ი. ზუმბაძე.

## ᲛᲝᲐᲒᲕᲐᲠᲔᲗ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ!

(პირველი ლეგიონი.)

საიარაღო სახელოსნოში მუშაობს ხუთი ამხანაგი, რომელთაგან ოთხი ზეინკალია, ერთი კი დურგალი.

ამ ამხანაგებს მუშაობა უხდებათ დილის 6 საათიდან საღამოს ექვს საათამდე, რის გამოც ისენი ჩამორჩენილი არიან ნაწილის ყოველგვარ მეცადინეობას, როგორიც არის სამწყობროს, პოლიტ-საათებს და სხ. ეს ამხანაგები დროის უქონლობის გამო ვერ კითხულობენ ვერც გაზეთებს და წიგნებს.

ხშირი შემთხვევაა, რომ ხსენებული წითელ არმიელები მუშაობენ კვირა-უქმი დღეებშიდაც.

მათთვის დასვენება არასოდეს არ არსებობს.

ეს გარემოება მათში იწვევს უკმაყოფილებას, რადგან გამუდმებით მუშაობა აცილებს მათ ყოველგვარ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას.

საჭიროა ამ ამხანაგების სამუშაო დრო განისაზღვროს, რომ თავისუფალი დრო მოანდომონ სხვა და სხვა სამწყობრო და პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას.

წით. არმიელი კ—ნი.

## ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲘᲜᲔᲑᲐ! ᲓᲠᲝᲐ ᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲘᲤᲮᲕᲠᲐᲡ!

პირველი ლეგიონის სამნეო გუნდში არის წითელ-არმიელთა ცოტა პროცენტი, რომელიც ჩამორჩენილია ნაწილის ყოველგვარ მუშაობას. მიზეზი ამისა არის ის რომ, ნაწილი წითელ-არმიელებისა მუშაობს ოთხთვალებზე და ცხენებზე.

ჩვენს გუნდში აგრეთვე აქვს ადგილი ერთ დაუშვებელ მოვლენას. არიან რამოდენიმე წითელ-არმიელები, რომლებიც ისე არ დაილაპარაკებენ, რომ სიტყვებს თანვე გინებაც არ მოაყოლონ. ხშირად გინებით იმ ზომაზე მიდიან, რომ ერთი მეორეს შეეჯახებიან.

ეს ვაჟბატონები იმდენათ გათამამდენ, რომ მეთაურებისაც კი აღარ ეხათრებათ და არ უგონებენ მათ.

ასეთი უდისციპლინობა დაუშვებელია.

დროა გადააგდონ ეს ცუდი ჩვეულება. ასეთი სიტყვების ხმარება არ შეშვენის და არ ეპატიებათ წითელ-არმიელებს.

ამხ. გუნდის მესვეურებო! მიაქციეთ ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება და აღმოფხვარით ეს ჩვეულება წითელ-არმიელებში.

სამხკორი ქონთელი.

## ᲛᲘᲮᲔᲓᲔᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲡ.

**საარტილერიო ლეგ. 4-ხე საგაუბ. ბატარეია.**

ბატარეიაში არსებობს ძლიერ ლამაზად მოწყობილი ლენინის კუთხე. არმიელების თავშესაყარი ადგილი ეს კუთხეა. აქ იკმაყოფილებენ ამხანაგები თავის სულიერ მოთხოვნილებას გაზეთების, ბროშიურების და სხვა და სხვა ჟურნალების კითხვით. ხშირად იმართება საუბრები საინტერესო თემებზე, რომლებსაც გულმოდგინებით უსმენენ.

სამწუხაროთ ხანდისხან წვიმის დროს შეუძლებელი ხდება კუთხეში გაჩერება, რადგანაც ცოტა შეძველებული კარავი გვარგუნეს კუთხისათვის და სცრის წვიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხრდება საუცხოვო ლიტერატურა, რომელიც კუთხეში მოთავსებული.

დროა ყურადღება მიაქციონ ვისაც ეს შეეხება და მიიღონ ზომები კუთხისთვის კარავის გამოსაცვლელად. ნუ თუ ასე გულგრილად უნდა ეკიდებოდენ ამდენი ქონების გაოხრებას?

უზრუნველყავით კუთხე გაფუჭებისაგან.

წით. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## სახლის კომენდანტი თავის სიმაღლეზე არ სდგას!

(ქ. კომენდანტის საყურადღებოთ)

სასამართლოს ქ. № 33 სამხედრო სახლში თვით მცხოვრებლების მიერ არჩეული იქნა შენობის კომენდანტათ ამხ. ბოლონკინი, რომ შენობისათვის თვალყური ედევნებინა და უწესრიგობას ადგილი არ ქონებოდა იქ. მაგრამ დრო გადის და ამხ. ბოლონკინი იწყებს ვითომდაც მფლობელობის აღდგენას შენობაზე და იქცევა ისე, როგორც სახლის მეპატრონე. მას დავიწყებია თავისი მოვალეობანი და თავის ნებაზე, სხვების დაუკითხავათ, ასახლებს შენობაში თავის ნათესავებს, მეგობრებს, ან და კეტს ოთახს სანამ არ გამოუჩნდება ასეთი პიროვნებები, ახდენს მდგმურების კარგ ოთახებიდან ცუდში გადასახლებას, და შიდ ასახლებს არა სამხედრო პირებს.

გარდა ამისა სრულებითაც არ ადევნებს თვალყურს ბინების შეკეთებას. ერთი მდგმურის ოთახში, თუ გაწვიმდა ჩადის წყალი, და სხვა მრავალი ასეთები. ნუ თუ ასეთ პიროვნებას უნდა ქონდეს ადგილი ამ შენობაში და არ უნდა იქნას გაძევებული ამ თანამდებობიდან.

იმედია მიაქცევს ამას ქალაქის საკომენდანტო სათანადო ყურადღებას მის მაგიერ დანიშნავს უფრო გამოცდილს და საქმის კარგ მცოდნეს, თორემ ამხ. ბოლონკინი სულ გაავსებს ამ შენობას თავის ნაცნობებით და მეგობრებით.

შამი.

## ახალი ამბები.

— **საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებას ტფილ. აღმასკომმა დაკავებული დარაბების ქირა სანახევროდ შეუმცირა.**

— **ტრამვაელ მუშებისათვის სპეც-ტანისამოსის შესაკერათ** ტრამვაის დირექციამ შეიძინა 5 ათასი მეტრი მატერია.

— **ტრამვაის მუშების დასასვენებლათ.** ტრამვაის პარკთან შენდება ცალკე სახლი ტრამვაელ მუშების დასასვენებლად.

— **კალია.** ნავთლუღის ახლოს მდებარე ყანებს სივრცით 300 დესეტინაზე გაჩდა კალია. მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის ბიუროს ზომებით კალია სასწრაფოთ იქნა მოსპობილი.

— **შემოსავალი დოლიდან.** სოფ. არაგვიანსა და სას.-სამ. შეგირდთა სკოლის სასარგებლოთ გამართული დოლიდან, მიწ.-მოქმ კომისარიატს დარჩა 640 მანეთი, რომელიც გადაეცემა დანიშნულებისამებრ.

— **სახელწოდების შეცვლა** ტფილისის აღმასკომის დადგენილებით, ქალაქის მეორე საავადმყოფოს ეწოდა „კლინიკური ინსტიტუტი".

— **გლეხის შემოსავალ-გასავალი.** ამჟამად მთელ საქართველოში სწარმოებს გლეხის მეურნეობის შემოსავალ-გასავლის გამოკვლევა.

— **მთავრობის დადგენილებით.** ამერიკული ვაზების სანერგეების მოსაწყობათ ზემოხოდაშენის სასოფლო-სამეურნეო არტელს მიეცა დახმარებათ 3 ათასი მან. ხოლო ყიზის ხევისას 2 ათასი მანეთი.

— **ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება** შეუდგა საბარგო ავტომობილზე ქუჩების სარწყავი ქვაბის მოწყობას, რომლითაც მორწყულ იქნება მუშათა უბნების ქუჩები.

— **ცეცხლის მოსალოდნელობასთან ბრძოლა.** ტრამვაის პარკში უკვე დასრულდა ცეცხლის საქრობი მილების მოწყობა-გაყვანა.

## ორთა ლაღადი და სინამდვილე.

(დასასრული)

ეხლა ვიკითხოთ, როგორია ის საქმე, რომელიც თვით ასეულზეა დამოკიდებული? ჩვენ ვლაპარაკობთ წ. არმიელების სურსათ სანოვაგით კმაყოფაზე. თანახმათ 1-ლ ლეგ. მიერ მიცემულ ატესტატისა,—ბევრი ვაივაგლახის შემდეგ ჩაირიცხენ მე-9 რე ასეულში წ.-არმიელები, მაგრამ მე-6 ლეგიონმა ვერ გადუგზავნა ატესტატები როგორც საჭირო იყო ისე მე-65 ცხენოსან ლეგიონს, საიდანაც ღებულობდა სურსათს თვით მე-9-რე ასეული და ამ მიზეზის გამო კვლავ შეაფერხეს სურსათის მიღების საქმე.

მიუხედავათ ამის, რომ კომისარიატმა მათ რამდენჯერმე ათხოვა ცხენი ორთვალათი, მაინც ვერ მოაწესრიგეს სურსათის თავის დროზედ მიღება და მის გარშემო ანგარიშის წარმოება. მათ, ე. ი. მე-9-რე ასეულის მიერ მოწოდებულ ცნობის თანახმად, ჩვენს წ. არმიელებზედაც მიიღეს ყველაფერი, მაგრამ კომისარიატის თანამშრომლის ულუფიდან სესხათ მიცემული ფქვილი, დღესაც არ დაუბრუნებიათ—ფქვილის პატრონისათვის. შაქარი ჩაი და სხვა ხომ სულ არ მიუციათ დღესაც, რაც არა ერთხელ და ორხელ მოეთხოვათ მათ და მის შესახებ ცენტრსაც ეცნობა.

არ არის სავსებით მართალი ამხ. შონია, თითქოს ამორიცხვით და მივლინებაში გაგზავნით წ. არმიელებზე მზრუნველობისაგან თავისუფლდებოდეს ლეგიონი, მით უმეტეს, თუ ზოგ კმაყოფაზედაც რჩებიან თავიანთ ლეგიონში. უფრო დაინტერესებულიც უნდა იყოს ლეგიონი გაიგოს, თუ რამდენათ უზრუნველყოფილნი არიან მივლინებაში მათი წ. არმიელები. არ არის საკმაო მარტო გაზეთის ფურცლებზე თავის მართლება, საჭიროა თავის შეწუხებაც. ამ მხრით კი ლეგიონს და არც მე-9-რე ასეულს თითი-თითზე არ მიუკარებიათ.

სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისარიატი.

## რადიოს მოყვარულთა კუთხე.

**ხმამაღლა მოლაპარაკე ჰიქისაგან.**

ერთ და იმავე დროს შეუძლიათ ერთი სასმენი მილისაგან მოისმინონ 5—6 კაცმა, თუ ავიღებთ პატარა, ცარიელ ყუთს თხელი გამხმარი ფიცრებისაგან დამზადებულს, დავსდგამთ მასზე ცარიელ ჰიქას (სტაქანს) ხოლო ჰიქაზე კი მივამაგრებთ ელექტრო სანათურის სახურავს, როგორც ნაჩვენებია სურათზე.



(თუ ელექტრონის სანათურის თავი ar მოიპოება, ასეთის დამზადება შეიძლება სქელი ქაღალდისაგან). ამის შემდეგ ჰიქა გვერდით უნდა ჩაუშვათ ელსმენის მილში.

ჰიქებისაგან დამზადებული ასეთი ხმამაღლა მოლაპარაკეები ძლიერ გავრცელებულია მოსკოვის რადიო მოყვარულთა შორის.

**რადიო შოფერის როლში.**

ამ რამოდენიმე ხნის წინად ლონდონში სცადეს ავტომობილის მოძრაობა უშოფეროთ, რადიოს საშვალებით. შოფერის როლს ასრულებდა რადიო კონტროლი.

ველოსიპედისტებისა და მოტოციკლების მთელი პროცესია აედევნა უცნაურ ავტომობილს, რომელიც უშოფეროდ თავისუფლად დასეირნობდა ლონდონისქუჩებში და სრულიად უმტკივნეულოდ უხვევდა ყველა მოსახვევებში.

**სურათების გადაცემა რადიოს საშვალებით.**

თანამედროვე ტეხნიკის ერთ მორიგ და საინტერესო საკითხად ითვლება ფოტოგრაფიული სურათების რადიოს საშუალებით გადაცემა.

ფრანგულ ჟურნალის „ტელეგრაფის"—ცნობების თანახმად, ლიონსა, პარიზსა და სტრასბურგს შორის უკვე დაიწყეს სურათების გადაცემა რადიოს საშვალებით. ამნაირად ამ ქალაქებს შორის ყოველ მსურველს შეუძლია გადასცეს რადიოს საშვალებით თავისი საკუთარი ხელით ნაწერი წერილი. გადაცემის დროს გადამცემი სწერს ან ხატავს განსაკუთრებული სახის მელნით. ფოტოგრაფიული სურათის გადაცემისათვის საჭიროა 15-დან 20 წუთამდე დრო.

**რადიო კონცერტი ამერიკაში — აფრიკისათვის.**

მცირე სიგრძის რადიო ტალღებით მუშაობა თანდათან იკიდებს ფეხს ევროპისა და ამერიკის რადიო სადგურებში.

ამას წინად სპიდსბურგის (ამერიკაშია) რადიო სადგურმა მოკლე რადიო ტალღების მოხმარებით გადასცა სპეციალური კონცერტი სამხრეთ აფრიკისათვის. კონცერტი მიიღო აფრიკის ყველაზე უფრო სამხრეთისაკენ მოთავსებულ ქალაქმა, რომელმაც თავის მხრივ გადასცა ის ადგილობრივ რადიო მსმენელებს.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**სისხლის გადასხმა.**

ჯანმრთელი ორგანიზმიდან დაავადმყოფებულში სისხლის გადასხმა საექიმო მეცნიერების თვალსაზრისით უკვე დაკანონებულ სამკურნალო საშვალებად არის მიჩნეული. ამერიკაში მკურნალობის ასეთი წესი პირდაპირ „მოდაში" იქნა შემოღებული. იქ უკვე ჩამოყალიბდა პროფესიონალ სისხლის „მიმცემთა" კლასი.

ოპერაციის რიცხვი, რომელიც გადაუტანია თითეულ „სპეცს" სხვა და სხვანაირია: ერთი მაგალითად 4 წლის განმავლობაში ყიდდა თავის სისხლს და 35-ჯერ ყოველ ექვსი კვირის განმავლობაში. მეორე წელიწადში თერთმეტჯერ, მესამე კი 8 თვის განმავლობაში თერთმეტჯერ ყოველ სამ კვირაში.

ასეთი რაოდენობით სისხლის დაკარგვის უშედეგობა ორგანიზმისათვის იმით აიხსნება, რომ ორგანიზმს აქვს დაკარგული სისხლის ადვილად აღდგენის თვისება, თუ ძლიერ დიდი რაოდენობით არ იქნა სისხლი გაშვებული.

სისხლის აღდგენას ხელს უწყობს ორგანიზმში ტყლიპი და და ძვლების ტვინი.

**არაჩვეულებრივი მახინჯი.**

ჩრდილოეთ ამერიკაში 21 წლის ქალმა შვა არა ჩვეულებრივად მახინჯი ბავშვი. ახლად დაბადებულს სრულიად არ ჰქონდა წვივები და ფერდები და ფეხის ტერფები უშუალოდ მიბმული იყო ტანის ქვედა ნაწილზე. ხელები ნორმალური სიგრძის, მაგრამ ჩვეულებრივი თითების მაგივრად ხელი თავდება ერთი მაგარი თითით. მაგრამ ყველაზე უმთავრესია— საშინლად დიდი თვალები, რომლებიც სამი მეოთხედი ზომით პირდაპირ თავის ნაწილად აქვს ბავშს.

**უზარმაზარი ჭოგრი (ტელესკოპი).**

ევროპაში უდიდეს ჭოგრად ითვლება ყირიმში, სიმეზრის ობსერვატორიაში დასადგმელად გამზადებული 41"-ნი ჭოგრი, მაგრამ თავისი სიდიდით ეს უკანასკნელიც ორნახევარჯერ უფრო მცირეა ამერიკის „მზის ობსერვატორიაში" (ვილსონის მთა) მოთავსებულ ჭოგრ-გოლიათზე.

ამ ახლო მომავალში ევროპის ასეთი ჩამორჩენილობა ობსერვატორიების მოწყობის საქმეში ამოიწურება. საფრანგეთის ალპების ნაწილში უკვე დაიწყეს უდიდესი სამთო ობსერვატორიის აგება. აქ მოთავსებულ ჭოგრის ზომა 105"— 5"-ით მეტი იქნება ვილსონის მთის ჭოგრზე.

ჭოგრის სარკეების დამზადება შეკვეთილი აქვს გამოჩენილ ოპტიკს პროფ. რიტჩის. ობსერვატორიის საერთო ღირებულება და მისი მოწყობა დაჯდება 12 მილიონი მანეთი. ყველა თანხები გაიღო ინდოელმა ინჟენერ მილიონერმა დინიმ.

უმაღლეს მწვერვალზე აშენებული ეს ობსერვატორია გაცილებით უფრო ღირსშესანიშნავი იქნება, ვიდრე ცნობილი ვილსონის მთის ობსერვატორია.

## პასუხი შეკითხვებზე

კითხვა. დაბადებული ვარ 1902 წელში, 15 ივნისს, გაწვეული ვარ ცვალებად შემადგენლობაში. ვმუშაობ „ზაკტ...პო"-ში. გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, ამ ორი თვის განმავლობაში მივიღებ თუ არა ჯამაგირს?

მიხეილ კოლანოვი.

პასუხი. ადგილი გენახებათ, ჯამაგირი კი არა.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. გამვლელს.** თქვენი კორესპონდენცია „სასტიკ პასუ... მოსათხოვია" გადაეცა მეორე არტლეგიონის სამხედრო კომისარს.

**ამხ. ნ. საყვარელიძეს.** გვაცნობეთ დაწვრილებით თუ როგორ მოხდა ამრმიელების დაღუპვა.

ამხ. ბ — ტი ს. კორესპონდენცია მესამე ლეგ. ბანაკად გასვლ... არ გამოდგა. სწერეთ ბანაკის ცხოვრებიდნ.

**ამხ. ინაშვილს.** სწერეთ ერთ გვერდზე და სუფთად.

**ამხ. ამხ. შანშიაშვილს და თამართქილაძეს** თქვენი წერილები „მეხუთე ლეგ. მეორე ასეულის ცხოვრებიდან" და „მეექვსე ლეგიონიდან" არ დაიბეჭდება. ამის შესახებ იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

**ამხ. გიორგაძეს.** თქვენი საპასუხო წერილი არ გამოდგა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები

**ტფილისის და მისი რაიონების მცხოვრებთა საყურადღ...** ბოდ, რომ 15-დან 19 ივნისამდი ყოველდღიურად ნავთლუღ... ვაზიანის გადასარბენზე, ავლაბრის ტბის რაიონში ჯავშნი... მატარებლების მე-7 დივიზია აწარმოებს ქვემეხების გამიზვნ... (სროლას), ხოლო 22-დან 27 ივნისამდი იმავე ადგილზე ხს... ნებულ დივიზიონის მიერ იწარმოებს სამოსწავლო-სატყვიამ... ფრქვევო სროლა.

ქალაქის კომენდანტის თანაშემწე
გეგელაშვილი.
ადმინ.-სამნეო განყ. უფროსი ნაკაშიძე.

## ვის აქვს საწინააღმდეგო.

სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედის ბიუროში შე... მოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან პარტიაში წევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. თავართქილაძე ნესტორს, 2. მიკირტიჩევ ვარტკე...

ვისაც რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ აღნიშნულ ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოდ ერთ... კვირის განმავლობაში შემდეგი მისამართით: **მანგლისი, სამ...**

**პოლიტ სკოლა**
კომუჯრედის მდივანი ი. მითაშვილი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.